საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

3134-გ-2-201512161628

N 3134-გ 16/12/2015

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ვიცე-დირექტორს
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა თქვენი წერილი, რომელიც ფონდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან შემოვიდა. თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2008 წლიდან დღემდე ფონდის მიერ 3899 საცხოვრებელია აშენებული. მათ შორის 1375 სახლი და 2524 ბინა, რომლის ღირებულებაც 129 750 785,31 ლარს შეადგენს. რაც შეეხება მეორე კითხვას გატყობინებთ, რომ 2013, 2014, 2015 წლებში ფონდს სარემონტო სამუშაოებისთვის დამატებითი თანხები არ გამოუყვია, ვიანიდან ამ წლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები კონტრაქტორი კომპანიის მიერ საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრისთვის დაკავებული სარეზერვო თანხებიდან განხორციელდა.

2013, 2014, 2015 წლებში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს სახლების სარემონტო სამუშაოები არ განუხორციელებია. თუმცა, ფონდმა აღნიშნულ წლებში ააშენა ახალი კორპუსები და ამავდროულად სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განახორციელა რამდენიმე კორპუსის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია.

ჯუანშერ ბურჭულაძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E–mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge